სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/68 8.09. 2021

უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ცხრილებისა და გარემოს შექმნის მიზნით, ვბრძანებ:

1. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 5 სექტემბრის №01-04/55 ბრძანება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო ცხრილებისა და გარემოს შექმნის შესახებ.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, შესაბამისმა სამსახურებმა, ფაკულტეტის დეკანებმა, დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა, მოწვეულმა და ტექნიკურმა პერსონალმა უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში უზრუნველყონ უსაფრთხო, კეთილმოწყობილი და ორგანიზებული სასწავლო გარემო.
3. აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა დაიცვან უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები.
4. მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტების აკადემიური უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესი წარიმართოს ორ ცვლაში, ფაკულტეტის დეკანებმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით 2021-2022 სასწავლო წლიდან სასწავლო ცხრილები შეადგინონ, მასში ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების განაწილება - დაწყვილება მოახდინონ ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის, ჯგუფების მიხედვით და წარმართონ შემდეგი სქემით:

- პირველ ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;

- მეორე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მესამე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეოთხე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეხუთე ლექციაზე - პირველი და მესამე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეექვსე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეშვიდე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მერვე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეცხრე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;
- მეათე ლექციაზე - მეორე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები;

5. მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით კლინიკური კურაციების ფარგლებში სალექციო მეცადინეობები წარიმართოს 16.00 საათიდან 19.00 საათის ჩათვლით.
6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების განაწილება - დაწყვილება საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფაკულტეტის დეკანების გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებასთან შეთანხმებით 16^{00} საათიდან.
7. minor საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი წარიმართოს ორ დღეს: სამშაბათს და ხუთშაბათს და ლექციები წარიმართოს ამ ბრძანების მე-16 მუხლით დამტკიცებული განრიგის მიხედვით.
8. minor საგანმანათლებლო პროგრამის დღეებში სამშაბათს და ხუთშაბათს შესაძლებელია ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის ლექცია-პრაქტიკული სამუშაოების დანიშვნა, ფაკულტეტის დეკანების გადაწყვეტილებით სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებასთან შეთანხმებით.
9. პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობები დაიწყოს 9^{00} საათიდან, პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სივრცეებში. სასწავლო ცხრილები შედგეს პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.
10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობები დაიწყოს 16^{00} საათიდან. სასწავლო ცხრილი შედგეს ფაკულტეტის დეკანისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

11. სასწავლო ცხრილები შედგეს ფაკულტეტის დეკანების, დეკანის მოადგილისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.
12. სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილს დაევალოს სააუდიტორიო ფონდის შესწავლა და დეკანებთან შეთანხმებით მისი ოპტიმალური განაწილება - გამოყენება სასწავლო ცხრილის შედგენის დროს;
13. ფაკულტეტის დეკანებმა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა პროფ. გიორგი ბერძულიშვილმა წინასწარ დაადგინონ ჯგუფების რაოდენობა ფაკულტეტის დეკანებთან და სასწავლო - მეთოდურ განყოფილებასთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
14. ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს ხანგრძლივობა განისაზღვროს ერთი აკადემიური საათით (50 ასტრონომიული წუთი).
15. ლექციებს შორის შესვენების ხანგრძლივობა განისაზღვროს 10 ასტრონომიული წუთით.
16. დამტკიცდეს ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობის სასწავლო გრაფიკი შემდეგი სახით:

I ცვლა	II ცვლა
I ლექცია – 9^{00}–9^{50}	14^{00}–14^{50}
II ლექცია 10^{00}–10^{50}	15^{00}–15^{50}
III ლექცია 11^{00}–11^{50}	16^{00}–16^{50}
IV ლექცია 12^{00}–12^{50}	17^{00}–17^{50}
V ლექცია 13^{00}-13^{50}	18^{00}–18^{50}

17. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის (პირველი და მეორე სასწავლო წლის), სამართალმცოდნეობის და სოციალურ მეცნიერებათა (პირველი სასწავლო წლის) სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა, სავალდებულო და არჩევითი საგნები, ორშაბათს, ოთხშაბათს ჩატარდეს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 13^{00} საათამდე, II ცვლაში 13^{00} საათიდან 17^{00} საათამდე), სამშაბათს და ხუთშაბათს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 13^{00} საათამდე), ჭავჭავაძის № 21-ში განთავსებულ კორპუსში, ხოლო სოციალურ მეცნიერებათა სპეციალობის და

სამართალმცოდნეობის სპეციალობების (მეორე სასწავლო წლის) სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა ჩატარდეს თამარ მეფის № 59-ში განთავსებულ კორპუსებში II ცვლაში 14^{00} საათიდან 16^{00} საათამდე);

18. აგრარული (ტურიზმის) ფაკულტეტების პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა, სავალდებულო და არჩევითი საგნები ორშაბათს, ოთხშაბათს ჩატარდეს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 13^{00} საათამდე, II ცვლაში 13^{00} საათიდან 17^{00} საათამდე), სამშაბათს და ხუთშაბათს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 13^{00} საათამდე, ჭავჭავაძის № 21–ში განთავსებულ კორპუსში, სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან, განყოფილების სპეციალისტ როზა სირბილაძესთან და ციცინო ჯინჭარაძესთან შეთანხმებით.

19. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში პედაგოგიურ ფაკულტეტის პირველი სასაწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა ჩატარდეს (I ცვლაში 11^{00} საათიდან 13^{00} საათამდე, ხოლო მეორე სასაწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა ჩატარდეს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 11^{00} საათამდე) ოთხშაბათს და პარასკევს ახალგაზრდობის № 98–ში განთავსებულ კორპუსებში სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან, განყოფილების სპეციალისტ გულნარა გაბრიჭიძესთან შეთანხმებით.

20. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა, სავალდებულო და არჩევითი საგნები ჩატარდეს (I ცვლაში 11^{00} საათიდან 13^{00} საათამდე, II ცვლაში 13^{00} საათიდან 15^{00} საათამდე) ორშაბათს, ოთხშაბათს თამარ მეფის № 59–ში განთავსებულ კორპუსებში სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან, განყოფილების სპეციალისტ როზა სირბილაძესთან შეთანხმებით.

21. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში მედიცინის ფაკულტეტის პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა, სავალდებულო და არჩევითი საგნები ჩატარდეს (I ცვლაში 12^{00} საათიდან 14^{00} საათამდე, II ცვლაში 14^{00} საათიდან 16^{00} საათამდე) სამშაბათს და ხუთშაბათს ახალგაზრდობის № 98–ში განთავსებულ კორპუსებში სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან და განყოფილების სპეციალისტ გულნარა გაბრიჭიძესთან შეთანხმებით.

22. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა ორშაბათს და ოთხშაბათს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 11^{00} საათამდე, II ცვლაში 15^{00} საათიდან 17^{00} საათამდე, თამარ მეფის № 59–ში განთავსებულ კორპუსებში სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან, განყოფილების როზა სირბილაძესთან შეთანხმებით,

ხოლო არჩევითი უცხოენა ჩატარდეს სამშაბათს და ხუთშაბათს , ამ ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად, თამარ მეფის № 59–ში განთავსებულ კორპუსებში სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან, განყოფილების სპეციალისტ როზა სირბილაძესთან შეთანხმებით.

23. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა და და არჩევითი უცხოენა ჩატარდეს ორშაბათს და ოთხშაბათს (I ცვლაში 12^{00} საათიდან 14^{00} საათამდე, II ცვლაში 14^{00} საათიდან 16^{00} საათამდე), სამშაბათს და ხუთშაბათს (I ცვლაში 9^{00} საათიდან 10^{00} საათამდე, მეორე ცვლაში 14^{00} საათიდან 17^{00} საათამდე).

24. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა და და არჩევითი უცხოენა ჩატარდეს სამშაბათს და ხუთშაბათს (I ცვლაში 12^{00} საათიდან 14^{00} საათამდე, მეორე ცვლაში 14^{00} საათიდან 16^{00} საათამდე).

25. საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებში აგრარული ფაკულტეტის პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის ძირითადი უცხო ენა და და არჩევითი უცხოენა ჩატარდეს შერვაშიძის ქუჩის № 53–ში სამშაბათს და ხუთშაბათს (I ცვლაში 12^{00} საათიდან 14^{00} საათამდე, მეორე ცვლაში 14^{00} საათიდან 16^{00} საათამდე).

26. საშემოდგომო და საგაზაფხულო „არჩევითი უცხოენებისათვის" მაქსიმალურად იქნას გამოყენებული აუდიტორიები საუნივერსიტეტო ფონდიდან და ლექციები ცხრილში ჩაისვას სამშაბათსა და ხუთშაბათს მაინორ პროგრამის დღეებში, და შაბათს, სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ. გიორგი ბერძულიშვილთან და განყოფილების სპეციალისტ როზა სირბილაძესთან შეთანხმებით.

27. სასწავლო ჯგუფებისათვის ცხრილები შედგეს ინფორმაციული ტექნოლოგიების და უცხო ენების სასწავლო კურსებზე გათვლით.

28. ენების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელმა ასოც. პროფესორმა ნათია ზვიადაძემ ფაკულტეტის დეკანებთან, სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსს პროფ.გიორგი ბერძულიშვილთან შეთანხმებით შეადგინოს უცხო ენების ცხრილი.

29. ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები დაინიშნოს შაბათ დღეს.

30. მაქსიმალურად იქნას დატვირთული ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის ახალგაზრდობის პროსპექტ № 98-ში არსებული, ყოფილი კოლეჯის სასწავლო კორპუსი, როგორც უცხო ენების, ისე საიჟინრო-ტექნოლოგიური და საიჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სასწავლო კურსების სწავლება/სწავლის კუთხით.

31. ფაკულტეტის დეკანებმა ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობების დაწყება, სასწავლო კორპუსების მიხედვით, უზრუნველყონ დილის 9^{00}

საათიდან. სასწავლო ცხრილების შედგენის დროს ფაკულტეტის დეკანებმა, დეკანის მოადგილეებმა, სასწავლო პროცესიის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტებმა მაქსიმალურად დატვირთონ სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ყოველი დღე, განსაკუთრებით minor საგანმანათლებლო პროგრამის დღეები სამშაბათი, ხუთშაბათი და შაბათი დღე.

32. სასწავლო ცხრილების შედგენის დროს რექტორის მოადგილემ, სამსახურის უფროსებმა, ფაკულტეტების დეკანებმა, დეკანის მოადგილეებმა, ფაკულტეტების ხარისხის სამასახურის უფროსებმა, დეპარტამენტების კოორდინატორებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა იხელმძღვანელონ, იმ სავალდებულო პრინციპით, რომ მათ მაქსიმალურად დაგეგმონ თავიანთი სააუდიტორიო მუშაობები პირველ და მეორე ლექციებზე.

33. ფაკულტეტის დეკანებმა და ხარისხის სამსახურის უფროსებმა უზრუნველყონ სასწავლო ცხრილების სრული შესაბამისობა დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

34. ფაკულტეტის დეკანებმა სასწავლო ცხრილები სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად შეიმუშაონ ყოველი სასწავლო წლის 4 სექტემბრისა და 1 თებერვლისათვის.

35. მედიცინის ფაკულტეტზე პირველ სასწავლო წელს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსები დაინიშნოს სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს ამ ბრძანების მე-16 მუხლით დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

36. სასწავლო ცხრილების შედგენას საერთო კოორდინაცია გაუწიოს სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა პროფ. გიორგი ბერძულიშვილმა და ფაკულტეტის დეკანებთან ერთად მობილობისა და აღდგენის წესით უნივერსიტეტში ჩარიცხულ და აკადემიურ დავალიანებაში მყოფ სტუდენტთა განსხვავებული (ასათვისებელი) კრედიტების აკადემიური უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით დაიცვან ამ ბრძანების მე-16 მუხლით დამტკიცებული სასწავლო განრიგი.

37. ფაკულტეტის დეკანებმა ლექცია,პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობების დაწყება, სასწავლო კორპუსების მიხედვით, უზრუნველყონ დილის 9^{00} საათიდან;

38. ფაკულტეტის დეკანებმა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობების მორგება შენობის ადაპტირებიდან და სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი გარემოს მქონე საუნივერსიტეტო კორპუსებსა და აუდიტორიებში (სართულის შერჩევა, კორპუსის შერჩევა, კომპიუტერული ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა).

39. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილებამ უზრუნველყოს ფაკულტეტებზე ყველა საფეხურის სასწავლო ცხრილების დამტკიცება სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში

40. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის შედეგები პრაქტიკული რეაგირებისათვის, ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს სისტემატურად მიაწოდოს ფაკულტეტის დეკანებსა და დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

41. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა ე. ცირეკიძემ უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.

42. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

43.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭო 29 დეკემბერი, 2017 დადგენილება №43 (17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო ცხრილის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი დამტკიცების შესახებ.

რექტორი პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი იმერი ბასილაძე